



სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია
დანართი # 3

სანქციები ჩაშლილი/შეწყვეტილი მატჩის შემთხვევაში

1. თუ სადისციპლინო კომისია დაადგენს, რომ :

1.1 სრკ-ს მოქმედი რეგულაციების და/ან დებულებების დარღვევა;
1.2 თამაშის წესების რეგულარული ან სერიოზული დარღვევა; და/ან
1.3 ერთერთი ან ორივე გუნდების წარმომადგენლების ან გულშემატკივრების მიერ რეგულარული ან სერიოზული ქცევის კოდექსის დარღვევა ან არამართებული ქცევა, გახდა საფუძველი მატჩის ჩაშლისა/შეწყვეტისა და მსაჯის მიერ მიღებული ეს გადაწყვეტილება იყო მართებული არსებული გარემოებებიდან გამომდინარე, სადისციპლინო კომისია, მატჩში მონაწილე გუნდების შესაბამისი პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, ადგენს სანქციებს, რომლებიც შეესაბამება ერთერთ ან ორივე გუნდს.

სანქციები მოიცავს, (და არ არის ლიმიტირებული), შემდეგს :

ა) გაფრთხილება, შენიშვნა (შემდგომში მსგავსი დარღვევების არ გამეორების მიზნით);

ბ) ფულადი ჯარიმა და/ან კომპენსაციის დაკისრება;

გ) მიანიჭოს ერთერთ გუნდს შესაბამისი შეჯიბრების მატჩში შესაძლო მოსაპოვებელი საცხრილო ქულები;

დ) გამოაცხადოს მატჩის შეწყვეტისას დაფიქსირებული ანგარიში საბოლოოდ ან ორივე გუნდის ბრალეულობის დადგენის შემთხვევაში გამოაცხადოს მატჩი არშემდგარად და გააბათილოს ანგარიში;

ე) გამოაკლოს ერთერთ ან ორივე გუნდს, შესაბამისი შეჯიბრების საცხრილო ქულები მთლიანად ან ნაწილობრივ;

ვ) ერთ-ერთი ან ორივე გუნდის რომელიმე ან ყველა მოთამაშის/პიროვნების დისკვალიფიკაცია, სადისციპლინო რეგულაციის დარღვევის შესაბამისად;

ზ) ზემოთჩამოთვლილის ნებისმიერი კომბინაცია.



ფიქსირებული სანქციები

2. სრკ-ს საშეჯიბრო კომიტეტის მიერ წინასწარ დანიშნულ მატჩში მონაწილე, რომელიმე და/ან ორივე, გუნდის თამაშზე არ გამოცხადება საპატიო მიზეზ(ებ)ის გარეშე და/ან სრკ-ს საშეჯიბრო დებულების 7.1 (მატჩზე 12-ზე ნაკლები მოთამაშით გამოცხადება) პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის დარღვევა.

- გუნდის თამაშზე არ გამოცხადების მიზეზ(ებ)ის საპატიოდ დადგენის შემთხვევაში, სრკ-ს საშეჯიბრო სამსახური, ადგენს არშემდგარი მატჩის გასამართ უახლოეს შესაძლო თარიღს.

სანქციები :

დამრღვევ სრკ-ს წევრ სუბიექტის გუნდებს (დუბლიორთა გუნდების ჩათვლით) დააკლდება 3(სამი) საცხრილო ქულა და დაჯარიმდება :

დიდი 10-ში – 10 000 (ათი ათასი) ლარით.

I ლიგაში – 5 000 (ხუთი ათასი) ლარით.

ჭაბუკთა და რეგიონალურ ლიგებში - 500(ხუთასი) ლარით. ალტერნატიული სანქცია (ფულადი ჯარიმის 7 კალენდარულ დღეში გადაუხდელობის შემთხვევაში), დამატებით დააკლდება 2 (ორი) საცხრილო ქულა.

- მატჩზე არ გამოცხადებული გუნდის მოწინააღმდეგე გუნდს ჩაეთვლება მოგება, მიენიჭება შესაბამის შეჯიბრში შესაძლო მოსაპოვებელი ქულების მაქსიმალური ოდენობა და ანგარიში დაფიქსირდება 30:0 მის სასარგებლოდ.
- გუნდის მიერ ზემოაღნიშნული დარღვევის განმეორების შემთხვევაში გუნდი ავტომატურად მოიხსნება შეჯიბრებიდან და მისი შემდგომში სრკ-ს მიერ ორგანიზებულ შეჯიბრებებში მონაწილეობის საკითხი გახდება სრკ-ს შესაბამისი სტრუქტურების განხილვის საგანი.

პლეიოფები

პლეიოფების დროს მატჩზე (საპატიო მიზეზ(ებ)ის გარეშე) არ გამოცხადებული გუნდი, მოდევნო სათამაშო სეზონს დაიწყებს დაკლებული ქულების შესაბამისი უარყოფითი საცხრილო ქულათა ბალანსით.

3. თამაშის უფლების არ მქონე მოთამაშ(ებ)ის მონაწილეობა თამაშში.

- თამაშის უფლების არ მქონედ ითვლება მოთამაშე, რომელსაც სრკ-ს, მსოფლიო რაგბის, რაგბი ევროპის რეგულაციების/დებულებების/გადაწყვეტილებების მიხედვით არ აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს სრკ-ს მიერ ორგანიზებული ნებისმიერი დონის მატჩებში.



3.1 სრკ-ს სადისციპლინო სამსახურში მიმართვის ვადა :

ა) კონკრეტული შეჯიბრების რეგულარული ჩემპიონატის (ბოლო ტურის) დამთავრების თარიღიდან 48 (ორმოცდარვა) საათის განმავლობაში.

სანქციები :

ყოველი ასეთი დარღვევის დადგენილ ფაქტზე, დამრღვევი გუნდი დაჯარიმდება :

დიდი 10-ში - 2000(ორი ათასი) ლარით;

I ლიგაში - 1000(ათასი) ლარით;

ჭაბუკთა და რეგიონალური ლიგებში - 500(ხუთასი) ლარით. ალტერნატიული სანქცია (ფულადი ჯარიმის 7 კალენდარულ დღეში გადაუხდელობის შემთხვევაში), 2 (ორი) საცხრილო ქულის დაკლება.

- დამრღვევ გუნდს, ჩაეთვლება წაგება ყველა იმ თამაშში რომელშიც მონაწილეობა მიიღო თამაშის უფლების არ მქონე მოთამაშემ/მოთამაშეებმა და დააკლდება 5(ხუთი) საცხრილო ქულა. ხოლო მოწინააღმდეგე გუნდს ჩაეთვლება მოგება, მიენიჭება შესაბამისი შეჯიბრში შესაძლო მოსაპოვებელი ქულების მაქსიმალური ოდენობა და ანგარიში დაფიქსირდება 30:0 მის სასარგებლოდ.

ბ) პლეიოფების დროს - კონკრეტული თამაშის დასრულებიდან 48(ორმოცდარვა) საათი.

სანქციები :

დამრღვევი გუნდი დაჯარიმდება :

დიდი 10-ში - 2000(ორი ათასი) ლარით;

I ლიგაში - 1000(ათასი) ლარით;

ჭაბუკთა და რეგიონალური ლიგებში - 500(ხუთასი) ლარით. ალტერნატიული სანქცია (ფულადი ჯარიმის 7 კალენდარულ დღეში გადაუხდელობის შემთხვევაში), 2 (ორი) საცხრილო ქულის დაკლება.

- დამრღვევ გუნდს, ჩაეთვლება წაგება იმ თამაშში რომელშიც მონაწილეობა მიიღო თამაშის უფლების არ მქონე მოთამაშემ/მოთამაშეებმა, დააკლდება 5(ხუთი) საცხრილო ქულა და მოდევნო სათამაშო სეზონს დაიწყებს დაკლებული ქულების შესაბამისი უარყოფითი საცხრილო ქულათა ბალანსით. მოწინააღმდეგე გუნდს ჩაეთვლება მოგება.



4. იმ შემთხვევაში თუ, მასპინძელმა გუნდმა ვერ უზრუნველყო, სრკ-ს საშეჯიბრო დებულებით დადგენილი წესის მიხედვით, სათამაშო მოედნის და პერიმეტრის შესაბამისი მზადყოფნა და ამის გამო მატჩის ოფიციალური პირების დასაბუთებული გადაწყვეტილებით თამაში არ შედგა.

სანქცია :

მასპინძელ გუნდს თამაში ჩაეთვლება წაგებად. ხოლო მოწინააღმდეგე გუნდს ჩაეთვლება მოგება, მიენიჭება შესაბამის შეჯიბრში შესაძლო მოსაპოვებელი ქულების მაქსიმალური ოდენობა და ანგარიში დაფიქსირდება 3:0 მის სასარგებლოდ;

5. დიდი 10-ს და I ლიგის გუნდების მატჩებზე, მოთამაშეთა სათამაშო ფორმის, სრკ-ს საშეჯიბრო დებულებით დადგენილი წესის დარღვევა.

სანქცია :

დამრღვევი გუნდი დაჯარიმდება 50(ორმოცდაათი) ლარით თითოეულ ასეთ შემთხვევაზე კონკრეტულ მატჩში.

6. 2024-2025 წლის საქართველოს რაგბის კავშირის მიერ ორგანიზებულ შეჯიბრებებში მონაწილე კლუბის (გუნდის) საბაზისო დაფინანსების განაწილებისა და ბონუსური სისტემით თანხების გაცემის წესის მიხედვით -

6.1 ჭაბუკთა ლიგაში („ა“, „ბ“) და ბავშვთა გუნდ(ებ)ში სრულფასოვანი მონაწილეობა ნიშნავს:

- ✓ ჭაბუკთა ლიგების შემთხვევაში სრკ-ს მიერ ორგანიზებული კალენდარის მიხედვით შესაბამისი ლიგის დასრულება;
- ✓ ბავშვთა გუნდ(ებ)ის შემთხვევაში სრკ-ს მიერ ჩატარებულ შესაბამის ასაკობრივ ფესტივალების მატჩების 50%-ში მონაწილეობა.

იმ შემთხვევაში თუ დიდი-10-ის ვერტიკალიში მყოფი, შესაბამისი ლიგის თუ ფესტივალის გუნდი ჩაერთო სრკ-ს მიერ ორგანიზებულ ჭაბუკთა ლიგაში და შესაბამის ასაკობრივ ფესტივალებში და მიიღო დიდი-10-ის ვერტიკალისთვის განკუთვნილი დაფინანსება, თუმცა სხვადასხვა მიზეზთა გამო ვერ ასრულებს ამ წესის მე-10 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს, დიდი-10-ის კლუბი დაჯარიმდება ფულადი ჯარიმით შემდეგი ოდენობით:

- ✓ ჭაბუკთა „ა“ ლიგის შემთხვევაში ჯარიმა 20 000 (ოცი ათასი) ლარი;
- ✓ ჭაბუკთა „ბ“ ლიგის შემთხვევაში ჯარიმა 5 000 (ხუთი ათასი) ლარი;
- ✓ ბავშვთა გუნდის (U15) შემთხვევაში 5000 (ხუთი ათასი) ლარი;
- ✓ ბავშვთა გუნდის (U13) შემთხვევაში 3000 (სამი ათასი) ლარი;
- ✓ ბავშვთა გუნდის (U11) შემთხვევაში 3000 (სამი ათასი) ლარი;
- ✓ ბავშვთა გუნდის (U9) შემთხვევაში 3000 (სამი ათასი) ლარი.